გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 12 მაისს.**

ამ ნომერში ათი გვერდია

**თავადნი იოსებ გიორგის ძე და დავით ზურაბის ძე ანდრონიკაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა თავიანთის ბიძის, **თავადის იასე ადამის ძის ანდრონიკაშვილისას**, და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გვამის გამოსვენებაზედ, სოლოლაკის ქუჩაზედ, ორბელის სახლებიდგან, ვერის იოანნე ღვთის-მეტყველის ეკკლესიაში. მიცვალებულს დაასაფლავებენ ორშაბათს, 11 მაისს.

პანაშვიდი გარდახდილი იქმნება ყოველ დღე, ნაშუადღევის პირველს საათსა და საღამოს შვიდს საათზედ. (1—1)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ დანიშნული

## ლატარია-ალეგრი,

რომელიც კვირას, 10 მაისს, უნდა ყოფილიყო,

**გადაიდო 17 მაისისათვის.**

18 მაისს, კვირას,

საღამოს 7 საათზედ, ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის სადგომში (ფრეილინის ქუჩაზედ).

იქნება

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების**

საგანგებო კრება.

კრების საგნები:

1) მომავალის წლის სავარაუდო ანგარიშის განხილვა.

2) საზოგადოების ერთის წევრის საჩივრის გარჩევა წარსულ საზოგადო კრების შესახებ.

3) საზოგადოების წევრთა არჩევანი. (6—1)

„საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობის“ კანტორა აუწყებს თავის წევრთა, რომ 17 მაისს, დილის 11 საათზედ, დანიშნულია საზოგადო კრება „ამხანაგობისა“ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში კანტორის მოქმედებისა.

2) ამხანაგობის ახალ წევრთა არჩევანი.

3) მორიგ საქმეთა განხილვა. (3—2)

## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, არტისტ-მომღერალს ბ-ნს ფილიმონ ქორიძეს მუსიკაზედ გადაუღია და დაუწერია ქართული რომანსები (ერთის ხმით სასიმღერონი), დუეტები და სცენები. სხვათა შორის, ჩვენ ვნახეთ რომანსი: „მინდორი და მოყვარემანი“; დუეტი: „იჯდა წყლის პირსა ყმაწვილი ქალი“; კომიკური დუეტი: „სიყვარული“, ლექსი თ. რ. ერისთავისა, და სცენა: „ბედი ქართლისა“, თ. ნ. ბარათაშვილის სიტყვებით დაწერილი. ამ სცენაში მომქმედ გმირებად არიან: მეფე ირაკლი, მისი მსაჯული სოლომონი და სოფიო, ცოლი სოლომონისა. რომანსი, დუეტი და კომიკური დუეტივე ბ-ნ ქორიძეს წინაშედ ჩონგურზედ უმღერნია კ. მ. ნ. დ—ნს. ყოველს ამ საგალობელში ხელ-შეუშლელად არის დაცული ქართული ჰანგი და ხასიათი სასიმღეროებისა (სტილი).

*** პოლიცია ამ ჟამად გაჩქარებული დაეძებს სულით ავადმყოფს, პოდპოლკოვნიკის ქვრივს სოფიო სტეფანეს ასულს დუნაევსკისას, რომელიც ამ დღეებში გამოსულა სახლიდგან და დაკარგულა. ჰფიქრობენ, რომ საბრალო მტკვარში გადავარდებოდა და თავს დაირჩობდაო.

*** ჩვენს ქვეყანაში ბევრგან გაჩნდა მინდვის თაგვი, რომელიც დიდს ნავნევს აძლევს ნათესებს. მასთან ბრძოლა ძალიან ძნელია. ტფილისის ნასწავლ მებაღეს რ. მეიერს შემდეგი ღონისძიება ურჩევია განჯის ადმინისტრაციისათვის თაგვების გასაწყვეტად: რამდენიმე თაგვი დაიჭირეთ, შავი სახადი შეჰყარეთ და გაუშვითო. ეს სენი მალე დაერევა თაგვებს და სულ მუსრს გაავლებსო.

*** ტფილის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების უკანასკნელი ორი სესსია უკვე გაემგზავრა შულავერსა დ თიონეთ-დუშეთში. შულავერის სესსიას გასარჩევად აქვს 28 საქმე და 22 მაისამდე მოუნდება საქმეების განხილვას. მეორე სესსია-კი დუშეთში 13 მაისამდე 15 საქმეს განიხილავს, შემდეგ თიონეთში გადავა, აქ 16 მაისს დაიწყებს საქმეთა განხილვას, 15 საქმეს გასინჯავს, 21 მაისამდე დარჩება და შემდეგ ტფილისშივე დაბრუნდება.

*** გუშინ-წინ, 7 მაისს, კუკიის ხიდიდგან ვიღაც კაცი გადავარდა მტკვარში ღამის 10—11 საათზედ. ამბობენ, რომ ეს კაცი ხიდზედ მოდენილს ქალს დაეწია, დაელაპარაკა, მერე გაბრუნდა, იშვირა ფეხი და გადავარდა მტკვარშიო. ქალს გული შეუწუხდა და მალე მოაბრუნეს, მაგრამ გადავარდნილს-კი ველარა უშველეს-რა, რადგან ბნელოდა. ვინაობა მისი ჯერ არ იციან.

*** „წერა-კითხვის საზოგადოებას“ სალატარიოდ კიდევ შესწირეს:

კნ. ელენე თარხანოვისამ სამი ლამბაქი და სამი საფერფლე, ხელით ნაკეთები, სამწერლო მოწყობილობა, 7 საფერფლე, ფინჯანი ლამბაქით ურთ, ორი სამარილე, კუს საფერფლე, დამბაჩა-ტერმომეტრი, ყავის იარაღი, საფერფლე ქანდაკება, რვა ვაზა, ორი ქაღალდის საჭრელი დანა და რუკების ჩამოსაკიდი;

მარიამ სვიმონის ასულმა ზედგინიძემ—ერთი ტილოზედ ნაკერი ხელსახოცი და ერთი ქინძისთავების ბალიში.

თავ. ილია დავითის ძემ ჭავჭავაძემ 20 ბოთლი ღვინო და ათ-ათი ბოთლი ღვინო შემდეგთ: თ. რევაზ ვაჩნაძემ, ვ. ბერელაშვილმა, კურდღელოვმა და თავ. გიორგი მაყაშვილმა.

შემოწირული თ. იასონ დავითის ძე ციციშვილისაგან:

1) ფინჯანი და ლამბაქი.

2) ორი საფერფლე.

3) ორი ვაზა.

4) ორი ხარაგულური ჩარექა.

5) ერთი იმერული ვაზა თიხისა.

ალ. როინაშვილმა შემოსწირა:

1) ქოლგა 3.

2) ხელის საპონი 6.

3) დუხები.

4) სურათები.

„წერა - კითხვის საზოგადოება“, ამათ გარდა, მადლობას უძღვნის შემდეგს ვაჭრებს, რომელთაც სხვა-დასხვა ნივთი შესწირეს სალატარიოდ: ანდრიასოვს, ჟირარდენს, ა. ელიბეგოვს, ს. კანდახჩევს, ა. ასატუროვს, ნ. ნაზარბეგოვს, ს. ბარამოვსა და ე. კანდურალოვს.

*** ჩვენს გაზეთში გვქონდა დაბეჭდილი, რომ მკურნალი ლუნკევიჩი იმიერ-კასპიის მხარეს იქმნა გაგზავნილი, რათა ყოველ გვარი საშუალება მიიღოს, რომ ავღანისტანიდგან ხოლერა რუსეთში არ გადმოვიდესო. გაზეთი „Кавказъ“-ი სწერს ეხლა, რომ ლუნკევიჩთან ერთად ამისს თანაშემწედ გაგზავნილ იქნებიან იმიერ-კასპის მხარეს კიდევ ბევრი მკურნალი, ფერშალი, პრავიზორი და სხვანიო.

*** ფოთი: გაზეთს „Казказъ“-ს სწერენ ფოთიდგან, რომ რიონის ადიდების გამო რკინის გზის ლიანდაგი მეშვიდე ვერსზედ დაზიანდა და მატარებელი ველარ დადის. ხალხი ერთ მატარებლიდგან მეორეზედ უნდა გადავიდეს, რომ დანიშნულს ადგილს მიაღწიოსო.

*** გაზეთს „Кутаисская Вѣдом.“-ს სწერენ, რომ ბათუმში კიდევ ერთი ბანკი არსდება ურთი-ერთ შორის საზოგადოებისა.

*** ნავთლუღის მახლობლად კალია გაჩენილა და ადგილობრივი მთავრობა ყოველ გვარ ღონის-ძიებასა ხმარობს იმის გასაწყვეტად („Т. Л.“).

## ფელეტონი

### ჩვენი მთის ხალხი

საბიბლიოგრაფიო წერილი

თხზულებანი ალექსანდრე ყაზბეგისა. სამი ტომი. ტფილისი, 1891 წ.

### VI

დაგვრჩა უკანასკნელი მოთხრობა „ციცია“, რომლითაც თავდება ყაზბეგის თხზულებათა მესამე წიგნი. ციცია მოხევე ქალის სახელია. ეს მოთხრობაც იმავ წარმტაცის მშვენიერებითა და მთის ცხოვრების ღრმა ცოდნით არის დაწერილი, როგორც ყოველივე ჩვენის ძვირფას ავტორის კალმის ნაწარმოები.

მოხუცი ქორღოყო, ციციას მამა, შეძლებული მოხევეა და ერთის საყვარელის ქალის მეტი არავინ გააჩნია, ამიტომ მტკიცედა აქვს გარდაწყვეტილი მიათხოვოს იგი საუკეთესო ოჯახიშვილს და მთელი თავისი საცხოვრებელიც მას დაულოცოს, თუ-კი შესაფერი სასიძო გამოჩნდა. ქალის ნორჩი და თავისუფალი გრძნობა-კი სრულებით სხვაფრივ აჟღერებს მის გულის სიმებს. ციცია მაგდენად არად დაგიდევს, რომ მასთან შეზრდილი ბიჭი ბეჟია ღარიბი მოხევეა, რომელიც ქორღოყოს მეცხვარედ უდგება. ციციას მისი სიღარიბე რაში ეკითხება, როდესაც ბეჟია გულით მდიდარია, სახით ვაჟკაცი და თანაც სიყვარულითაა განმსჭვალული ციციას მიმართ. შეყვარებული ბიჭი და გოგო ინახულებენ ურთერთს მთაში და გარდასწყვეტენ, რომ ბეჟიამ, რაკი სხვა გზა არ არას, „გაიტაცოს“ ციცია. სწორედ იმ ღამეს გაიტაცებენ ამ ქალს, მაგრამ გაიტაცებს მისი თვალის ჩინი ბეჟია-კი არა, არამედ მისთვის სრულებით უცნობი კაცი, ჩაჩანი სულთი ჯახოტ, „განთქმული ვაჟკაცი, რომელიც ათასჯერ სიკვდილს წინ შეჰგებებია ღიმილით“, თანაც ახალგაზდა და მოხდენილი. სულთის ეხმარება თავისი მეგობარი მურთუზა. შემდეგ კარგა ხნის მოგზაურობისა დაღალულ-დაქანცულები ჩამოსხდებიან ტყეში... მაგრამ აქ სჯობია ავტორის სიტყვებით ვილაპარაკოთ:

„ქალს ძილმა დასძლია, წყნარად მიესვენა ხეს და თვალები დახუჭა. სულთიმ ველარ მოითმინა, ნელა მივიდა და ქალის თავთან დაჩოქილმა სიყვარულიანის თვალებით ჩაცივებით დაუწყო ცქერა.

„ციცია წყნარად სუნთქავდა და ცხვირის ნაზი ნესტოები ებერებოდა. გაცრეცილ სახეზედ ერთბაშად ფერმა შეითამაშა და თხელმა ტუჩებმა მომხიბლავად გაიღიმეს: ეტყობოდა ბურანში წასულს ქალს რაღაცა სასიამოვნო სურათი ეხატებოდა. ამ წუთებში ციცია მეტად ლამაზი, მეტად მიმზიდავი იყო, და ძნელად დარჩებოდა ისეთი კაცი, რომელსაც ეს სურათი ენახა და ედემის სიამოვნება არ ეგრძნო, გონება არ არეოდა და დამთვრალსავით გაბრუებულს თავი არ დაჰკვირვებოდა.

„სულთი გიჟდებოდა, იბნეოდა და ანგარიშ-მიუცემლად, მოუსაზრებლად ქალისკენ თავი თავის თავად ეხრებოდა... ჩაჩანი მიიზიდა რაღაც უხილავმა ძალამ და თითონაც არ იცოდა, რა რიგად და რა დროს ქალის ტუჩებს დაეკონა.

„ქალი შეკრთა, წამოიწია და ზიზღით ხელი ჰკრა სულთას, რომელიც პირველის წუთის სიამოვნებაში იყო და ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო.

„— რას სჩადი, უნამუსო?

„— იმას, რომ მიყვარხარ!—უპასუხა სულთიმ ქართულად, რადგან ქართული კარგად იცოდა.

„— გიყვარვარ და მაწვალებ-კი!... ფუი შენს კაცობას!

„— აილახ! წამოიძახა სულთიმ: მე-კი არ ვიტანჯები?... ღვთის მადლმა, მეც ვიტანჯები, შენზედ მეტად ვიტანჯები!...

„— ჩემზედ მეტად?—მწარედ გაიღიმა ქალმა.

„— ჰაი, ჰაი, რომ შენზედ მეტად!... შენ რაი გიჭირს, ბედნიერო! დაუმატა სიჩუმის შემდეგ: რასაც გინდა, იმას მიზამ... მაგრამ მე, მე რაღა მრჩება?... წუხილი?... წუხილი მთელს სიცოცხლეს?

„—იუჩე, ბიჭაუ!... მაგით ვერ მომატყუებ... შენი ტყვე კარ, ძალა გაქვს, რაც გინდა, ის მიყავ, მომკალ, თუ გინდა, მაგრამ არ შეგიყვარებ, მეზიზღები („ციცია“, გვ. 355—357).

რამდენიც ლაპარაკში შევლენ, იმდენი დარწმუნდება ციცია, რომ სულთის იგი ცუდის განზრახვით არ გაუტაცნია, რომ სულთის შეჰყვარებია იგი, გადუწყვეტნია ძალით წაყვანა და ცოლად შერთვა, რადგან ნებით, როგორც მაჰმადიანს, არ მისცემდნენ; თანაც იმედი ჰქონია, რომ ქალი გაცნობისათანავე შეიყვარებს მას, როგორც კარგს და სახელიანს ვაჟკაცს. ციცია თანდათანა რწმუნდება, რომ სულთის იგი საშინლად უყვარს, იტანჯება ქალის უარით და მზად არის მოინათლოს კიდეც მის გულისთვის. სიბრალულმა აიტანა ქალი,

„მაგრამ რა უნდა ექმნა?.. ბეჟია

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** იუსტიციის სამინისტროს განსაკუთრებულს კომისიას ახალი კანონ-პროექტი შეუდგენია, რომლის ძალითაც დედათა სქესის მემკვიდრეებს იგივე უფლება ექნებათ მემკვიდრეობისა, როგორც მამაკაცებს. („Т. Л.“)

*** გაზეთ „Нов. Обоз.“-ში ვკითხულობთ: „ბ-ნმა შავროვმა მუშტაიდის ბაღში სამაგალითო ფუთკრის სკა გამართა, მაგრამ იმ სკიდგან თაფლის გემოთ ნახვა-კი ძნელად თუ ეღირსება. დადგა გაზაფხული, მრავალი ჩიტები დაფრინავენ მუშტაიდის ბაღში და ფუთკრებსა და თაფლს მიირთმევენ. დარწმუნებულნი ვართ, რომ ორი-სამის კვირის შემდეგ შავროვის მიერ გამართულის ფუტკრის სკის სახსენებელიც-კი აღარ იქნება. ბ-ნი შავროვი მაინც გულს არ იტეხს. მთელი დღე მუშტაიდის ბაღში დასეირნობს ორ-ლულიან თოფით ხელში, არა ჰზოგავს ტყვია წამალს და დღეში ერთ ნახევარს ჩიტსა ჰკლავს... ამბობენ, ვითომ ბ-ნს შავროვს ახალი პროექტი შეუდგენია და მთელს მუშტაიდის ბაღს შუშის თავსახური უნდა გაუკეთოს, რომ არც ერთს ჩიტს აღარ შეეძლოს ბაღში შეფრენა და შავროვის ჰიებისა და ფუტკრების გაწყვეტაო...“

*** ქუთაისი: გაზეთს „Нов. Об.“-ს სწერენ ქუთაისიდგან, რომ ამ დღეებში აქ ოდესის სამედიცინო და საბალნეოლოგიო საზოგადოებათა წევრები ჩამოვიდნენო, ო. ო. მაჩუტკოვსკი, ამ საზოგადოებათა თავმჯდომარე, მკურნალი მეიერი, ჯარაექიმი დუხნოვსკი და კიდევ ორი მკურნალი, ჩაუმანსკი და ერუზალსკი. ამათ განზრახვა აქვთ კავკასიის სამთა-მადნების წყლები დაათვალიერონ და შემდეგ კავკასიაში რამდენიმე საბალნეოლოგიო სადგურები გამართონ.

*** დაბა ალბულაღში განზრახვა აქვთ, სასოფლო აფთიაქი გამართონ („Т. Л.“)

*** სპარსეთის იმ ადგილებში, სადაც ამ ჟამად ხოლერა გაჩენილა, გაგზავნილი იქნება მკურნალი ვერბიცკი, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება დანიშნულს ადგილს. („Т. Л.“)

*** ინგლისის მთავრობას თავის აგენტისათვის, ბ-ნ ე. ფ. ლოუსთვის დაუვალებია, ამიერ-კავკასიასა და სპარსეთის მატყლის ვაჭრობის დაწვრილებით გამოკვლევა. ბ-ნს ლოუს ეს საქმე უკვე შეუსრულებია და ანგარიშიც შეუდგენია. ამ ანგარიშიდგანა სჩანს, რომ ამიერ-კავკასიაში წელიწადში 900,000 ცხვარსა ჰპარსავენ, რომლებიდგანაც 150,000 ფუთი მატყლი გროვდება. ამ 150,000 ფუთიდგან ყოველ წელიწადს ევროპაში 80,000 ფუთი მატყლი იგზავნება. („Т. Л.“)

*** „Новости“ ამბობს, რომ გზათა სამინისტროში ჰფიქრობენ შეამცირონ ფასები ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბილეთებისაო.

## არჩევანი

### სრულიად სომეხთა კათოლიკოზ-პატრიარქისა

(წერილი ეჩმიაძინიდგან)

სრულიად სხვა სანახავი იყო ეჩმიაძინის მონასტერი ამ მაისის პირველს რიცხვებში. ამბობენ, რომ ამისთანა ამბავი არას დროს არა ყოფილა კათოლიკოზის არჩევის დროსაო. დელეგატებიც ბევრნი დაესწრნენ და ისე მაყურებელი ხალხი და მლოცავნიც დიდ-ძალი.

ეჩმიაძინის სინოდისაგან 6 ეპისკოპოსი და 8 ბერი იყო დანიშნული დეპუტატებად, ოსმალეთიდგან მოვიდა 6 ეპისკოპოსი, 4 მღვდელი და 10 ვართაპეტი, ერის კაცნი იყვნენ 17, რუსეთის იმპერიიდგან 7 ეპისკოპოსი, სპარსეთიდგან, ინდოეთიდგან ტ რუსეთიდგან 8 ერის კაცი. სულ მთლად სასულიერო წოდებისა და საეროსანი შეიკრიბნენ 67 დელეგატი. ეს რიცხვი შესრულდა 2-ს მაისს საღამოზედ. ამათ ჰქონდათ მინდობილი რწმუნების წერილებით 6 ხმა, ასე რომ არჩევანზედ სულ 73 ხმა იყო. ამათში ერთი რწმუნების წერილი უკანონოდ იცნეს, დარჩა 72 ხმა. პირველში ამომრჩევლები ორ დასად დაიყვნენ: ოსმალეთის დასს უნდოდა, რომ მისი კანდიდატები არ ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი, ხოლო რუსეთის დასი თხოულობდა, რომ ორი ჩვენი კანდიდატი იყოს დასახელებულიო. ასახელებდნენ კიდეც იერემია ეპისკოპოსს, ეხლანდელ კათოლიკოზის მოადგილესა, და ხრიმიანს. ოსმალეთის დელეგატეპი დიდს უარზედ იდგნენ მაინც, პირველ მაისიდგან მოკიდებული 3-ს მაისამდე სულ ამ საგანზედ იყო ცილობა და სჯა. ბოლოს მორიგდნენ როგორც იყო 2 მაისს, საღამოს 10 საათზედ.

3-ს მაისს მოიყარა ხალხმა თავი. როგორც ეკკლესია, ისე უზარმაზარი ეზო გაივსო ქალით და კაცით, დიდითა და პატარით; გამოჩნდა ჟანდარმის პოლკოვნიკი, მაზრის უფროსი, ყაზახები, ჟანდარმები. წესიერება სამაგალითოდ იყო დაცული პოლიციის მერ. დილის 9 საათზედ ამომრჩევლები შეიკრიბნენ კათოლიკოზის სადგომში, სადაც იყო აგრეთვე მთავრობის წარმომადგენელი ტაინი სოვეტნიკი პრიბილი. პროკურორს ეჩმიაძინის სინოდისას ბ-ნს ყანჩელს თვალ-ყური ეჭირა, რომ ყოველივე საარჩევანო საქმე წესითა და რიგით განგებულიყო. თანახმად კანონისა, დაეწყვნენ რიგზედ ოროლი ეპისკოპოსნი, უმცროს-უფროსობის კვალობაზედ; ასევე დაეწყვნენ საერო წოდებისანიც. პროკურორი მოუდგა გვერდით ტაინი სოვეტნიკს ბ-ნს პრიბილს და ჯერ გამოისტუმრა სასულიერო წოდების დელეგატები, მათ მიჰყვნენ თითონაც და შემდეგ საერო წოდების ამომრჩევლნი გამოვიდნენ. გზა ჰქონდა დატოვებული ეკკლესიის კარებამდე. ხალხს წინ აქეთ-იქით პოლიციის მოხელენი იყვნენ გამწკრივებულნი. გამოვიდნენ თუ არა დელეგატები კათალიკოზის სასახლიდგან, შეიქმნა ხმა მაღლა ძახილი: „კეცე, აირიქ! კეცე, ხრიმიან!“ პატარა ყმაწვილებს ეჭირათ ხრიმიანის სურათები და ეხვეწებოდნენ დელეგატებს, ხრიმიანი აგვირჩიეთო. დაჰქონდათ ბროშურები, რომელშიაც აწერილი იყო ცხოვრება და მოღვაწეობა ხრიმიანისა. დ. ლალაიანცმა სურათი გადიღო პროცესიისა. მწირველი იყო ეპისკოპოსი ალვანიანი; საუცხოოდ გალობდნენ მგალობელნი. წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა პარაკლისი მის იმპერატორებით უდიდებულესობათა, სრულიად უავგუსტოესის სახლობის დღეგრძელობისათვის. კათოლიკოზის მოადგილემ, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იერემია ეპისკოპოსმა დაფიცა საერო წოდების დელეგატები, სულ 26 კაცი.

მეორეს დღეს, 4-ს მაისს, იმავე სახით შეიკრიბნენ ამომრჩეველნი კათოლიკოზის სასახლეში და იმავე წესით წამოვიდნენ ეკკლესიაში $10^1/_2$ საათზედ; საარჩევანო კრებამ გასტანა 2 საათსა და 20 წუთამდე. დასახელებულ იქმნენ კანდიდატებად: ხრიმიანი, ეპისკოპოზი იერუსალიმისა, მათეოზ ეპისკოპოზი იზმირლიანი, იერემია ეპისკოპოზი ტერ-სააკიანი და ხორენ ეპისკოპოზი მხითარიანი. როცა დელეგატები გამოვიდნენ ეკკლესიიდგან, შეიქმნა ძახილი ხალხში: „კეცე, აირიქ!“

ხვალ, 5-ს მაისს, ამ ოთხიდგან აარჩევენ ორს, ორივეს კანდიდატად და რომელიც დამტკიცებულ იქმნება, ის დაიჭერს საკათალიკოსო საყდარს ანუ კათედრას. საარჩევანო ბჭობის დროს ეკკლესიაში გარეშეს არავის არ აძლევდნენ ნებას დასწრებისას. თვით არჩევანსაც, რასაკვირველია, ვერავინ დაესწრება. ნება არ მისცეს დასწრებისა აგრეთვე არც ერთს კორესპონდენტს და სხვა-და-სხვა გაზეთის წარმომადგენელთ, რომელნიც თითქმის ყოველ ქვეყნიდგან არიან მოსულნი. მონასტერში წირვა-ლოცვა შეწყვეტილია, რადგან ეკკლესია სავსეა სტოლებითა და სკამებით, რომელიც უჭირავთ დელეგატებს ბჭობის დროს.

3 მაისი. დ. ჯანუევი

## ხელ-შეკრულობა

### „საურთიერთო დახმარების ამხანაგობისა“ *).

ათას რვაას ოთხმოც-და-თერთმეტსა წელსა, დეკემბრის 13 დღესა, ჩვენ ქვემორე ამისა ხელის-მომწერნი მოვრიგდით და დავაარსეთ ამხანაგობა, რომელსაც სახელად ეწოდება „ამხანაგობა ურთიერთის დახმარებისა“. ამხანაგობას საგნად აქვს, შეიძინოს ტფილისში მამულები საჯარო სყიდვით ანუ კერძო მორიგებით და ააშენოს ზედ სახლები და სხვა შენობანი.

პირობანი დავდევით შემდეგნი:

§ 1. ამხანაგობას აქვს აზრად შეიძინოს თავის ხარჯით, ხელ-მისაწვდომ ფასად, თითოეულის თავის ამხანაგის სახელობაზედ უძრავი მამული იმ წესით, რომელიც მოხსენებულია ამ ხელ-შეკრულობის მე-8 მუხლში. ამ აზრის განსახორციელებლად თითოეულს ამხანაგს შემოაქვს არა ნაკლებ ათის თუმნისა დასაარსებლად ძირის ფულისა. ეს ფული უნდა იქმნას შემოტანილი ანუ ერთ ხანად, ანუ ნაწილ-ნაწილ, სახელდობრ, ამხანაგად შემოსვლისათანავე არა ნაკლებ ერთის თუმნისა, ხოლო შემდეგ—არა ნაკლებ ექვსის მანათისა ყოველ ორ თთვეში ერთხელ, ვიდრე არ შეივსება ათი თუმანი წილის ფული.

შენიშვნა პირველი. საწევრო შემოსატანი ფული, აგრეთვე მთლად წილის ფული, ამხანაგობასა აქვს სასარგებლოდ ხუთის წლის განმავლობაში, ამხანაგად ჩარიცხვის დღიდგან, და, თუ ვინიცობაა ამხანაგმა თავის ნებით დაანება თავი ამხანაგობას, შეიძლება უკანვე დაუბრუნდეს ხუთის წლის შემდეგ. მაგრამ $^1/_3$ მის მიერ შემოტანილის ფულისა უნდა დარჩეს საკუთრებად ამხანაგობისა, რომელიც ვალდებულია ჩარიცხოს ეს მესამედი სათადარიგო თანხად და ამისათვის არავითარი მოგება არ აძლიოს წევრს თავის ნებით ამხანაგობიდგან გასულს; ხოლო ეს ფული კვლავ ჩაირიცხება სრულიად იმის ანგარიშში, თუ ხელ-ახლად ჩაეწერა ამხანაგად; ვინიცობაა საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით გამორიცხულ იქმნა ამხანაგი არა მისის ნებაყოფლობით ამხანაგობიდგან, ყოვე-

*) ეს „ამხანაგობა“ საურთიერთო დახმარებისა დაარსდა ამ წლის დამდეგს. აზრად აქვს შეიძინოს ტფილისში მამულები და ააშენოს ზედ სახლები თავის წევრთათვის. რადგან აზრი ამ ამხანაგობისა ფრიად სასარგებლო და საგულისხმიეროა, ვბეჭდავთ გაზეთში მის ხელ-შეკრულობას სრულად და უკლებლივ. რედ.

---

აგონდებოდა, ბეჟას უყვარდა და ახალის წულობლებით ჯერ-ედ გაურყვნელს გულს ორის ერთად სიყვარული-კი ვერ მოეხერხებინა.

„— სულთან! შენ ძმა და მე და, ერთბაშად წამოიძახა ქალმა.

„— ო-ოხ!—მწარედ ამოიკვნესა ჩაჩანმა და თავი ჩაჰკიდა: არ გებრალები?

„— მებრალები, ღვთის მადლმა! მაგრამ ცხოვ მიყვარს.

„— ო-ოხ! კიდევ მაღლზედ ამოიოხრა სულთამ და თითქოს გული თან ამოაყოლა“ („ციცია“, გვერ. 360).

**

სულთი გულ-ჩათუთქული დაჰმორჩილდება ქალის მტკიცე გარდაწყვეტილებას და ახალნი და-ძმანი შეუდგებიან ეხლა სამზადისს, რომ ბეჟიამ და ციციამ ჯვარის წერა მოახერხონ. ასეც მოჰხდება. მაგრამ ჩვენ ნულარ გავყვებით მოთხრობის წვლილს. ზემო ამბავიც რომ დაწვრილებით მოვიყვანეთ, მხოლოდ იმ განზრახვით, რომ მკითხველს საბუთი მივცეთ შემდეგის საყვედურისა ყაზბეგის მიმართ: „აბა, რა წარმოსადგენია, რომ სულთის მაგრე ძლიერ შეჰყვარებოდა ციცია? ან-კი რა სიყვარულია შესაძლებელი, როდესაც სულთიმ ციცია სულ ერთხელა ნახა და თანაც ნახა ისე, რომ ციციას არც-კი შეუტყვია? განა ერთის ნახვით კაცი მაგრე დაიბნევა, რომ სხვა რჯულის ქალს საცოლედ გაიტაცებს! ანუ ერთხელ ნახულის ქალის უარი განა მაგეთ სასოწარკვეთილებამდის მიიყვანს! ეგ დაუჯერებელი ამბავია და ამიტომ ვერაფერი საქები რაინდობაა სულთის მხრივ, რაკი პატივსა სცემს ქალის გრძნობას და ხელს იღებს თავისს განზრახვაზედ. როდესაც სიყვარული არ არის, იქ დათმობაც ადვილია და არც რაინდობასა თხოულობს სულთის საქციელი“.

ამისთანა საყვედურს ეტყვის მკითხველი ავტორს და ძალიანაც შესცდება. ჩემზედ და ჩემს მკითხველზედ ბევრითა და ძლიერ ბევრით უფრო მაღლა-მფრინავი ფილოსოფოსები და მეცნიერება შესჭიდებიან სიყვარულის გრძნობათა გამოკვლევას, ბევრმა მოინდომა მისი კანონები შეეტყო და კაცის გული ვიწროდ შემოზღუდულ ფარგალში მოეთავსებინა, მაგრამ ღონე არ შესწევდათ არც წადილს და არც ქადილს. სიყვარულს ვერც თავი გაუგეს და ვერც ბოლო. ჩვენ, რადგან ერთ გვარ წიგნებზედა ვართ აღზრდილნი, ვფიქრობთ, რომ ვიდრე ქალი და ვაჟი ერთმანეთს ძლიერ მჭიდროდ არ დაუახლოვდებიან, ვერც საზიარო სიყვარული ჩავარდება მათ შორისაო. ამ შემცდარის აზრით ხელმძღვანელებს ბევრჯელ გვინახავს, რომ დაახლოვებას, სიყვარული-კი არა, უგემური გულ-გრილობა ჩამოუგდია და ახალგაზდათა განზრახვას ზოგჯერ სიძულილიც მოჰყოლია, იმიტომ რომ სიყვარულს არა სცოდნია წინად-გამოანგარიშებულის დამორჩილება. ახალგაზდა კაცსაცა და ქალსაც აყვავებული გრძნობიერება სიცოცხლისა უსახავს გულში სრულებით განსაკუთრებულს იდეალს თავისს ტოლისას, ეს იდეალი არც ერთისთვის არ არის გამორკვეული, ვერც ერთი მათგანი ვერ მოგცემთ ანგარიშს ამ იდეალისას, თავიანთ თავსაც ვერ უპასუხებენ, რა თვისებისა უნდა იყოს არსება, რომ თავ-დავიწყებამდის მიიტაცოს მათი გული და სული. ხშირად საკმარისია თვალი მოჰკრას სრულებით უცნობს არსებას ახალგაზდამ და ზოგჯერ ხნიერმაც, რომ სულ ერთიან გადიშალოს გული, გახსნას კარი და სამუდამოდ ჩაიხატოს სურათი ამ არსებისა. გამოურკვეველი იდეალი უცებ გამოირკვა, ხორცშესხმული წარმოუდგა თვის წინაშე და კიდეც ჩავარდა გულში საძირკველი სიყვარულისა. ვინ არ იცის, რომ ბევრჯელ ასეთი უცაბედი შეხვედრა იდეალისა, ერთბაშად აღძრული სიყვარული ბევრად მტკიცე, ხანგრძლივი და ტკბილი გამომდგარა, ვიდრე ნელ-ნელა შეპარებული, თითქმის ნაძალადევი, ანგარიშიანი და ფრთხილი ნაყოფი ღრმა ფილოსოფოსობისა.

სულთი შორსა სდგას ფილოსოფოსობაზედ. იგი ემორჩილება სალის გულის წყურვილს, როგორც თითქმის ყოველი გმირი ყაზბეგისა, გამოყვანილი ჯერ გაურყვნელის ხალხის წრიდგან, და მისი სიყვარული, ჩვენის აზრით, უფრო კანონიერია, უფრო ღრმა, ყოვლად შემძლებელი და საიმედო, ვიდრე მოდუნებული გრძნობიერება აგრედ წოდებულის განათლებულის საზოგადოებისა. ამიტომაცა ვხედავთ, რომ სულთი კვლავ დაუბრუნდება თავისს სატრფო ციციას, როდესაც ამ ქალს ბედი უწყალოდ გამოსტაცებს მამასა და საყვარელს ქმარს.

**

ჩვენ აღარ გავჩერდებით ამ მოთხრობის შინაარსზედ. ვიკმაროთ, რაც ვილაპარაკეთ ყაზბეგის თხზულებათა შესახებ. ჩვენ სახეში გვქონდა გვეჩვენებინა მკითხველთათვის, რამდენად უსაფუძვლოა გავრცელებული აზრი, ვითომც ყაზბეგი თავისს ერთხელ დაწერილს იმეორებდეს სხვა ნაწერებში. ჩვენა ვნახეთ, რომ მის ყოველ მოთხრობას თავისი განსაკუთრებული საგანი აქვს ცხოვრებისა აღებული, და გავსინჯეთ კიდეც, როგორის ცოდნით და ნიჭითა აქვს გამოხატული ეს საგანი. სახელოვანმა ემილ ზოლამ ხუთჯერ ყაზბეგზედ მეტი თხზულებანი მოანდომა რუგონების გვარეულობის დასურათებას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივე მის მიერ შემოტანილი ფული დაუყოვნებლივ უკანვე დაუბრუნდება, გაიწმინდება რა მასთან ანგარიში და ამხანაგობისა აღარა დაედება-რა.

შენიშვნა მეორე. თავის ნებით გასული იქნება ამხანაგობიდგან ის, ვინც პირველსავე წელს ამხანაგად ჩარიცხვისას არ შემოიტანს ოთხ თუმანს მაინც საწევრო ფულად. თავის ნებითვე გასული იქმნება, თუ შემდეგს წლებშიაც არ შემოიტანს თავის ხვედრს შემოსატანს, და, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაშიაც მის შესახებ სრული თავისი ძალა აქვს პირველს შენიშვნას. ხოლო შეუძლიან კვლავ დაიბრუნოს უფლებანი ამხანაგისა მაშინვე, როგორც-კი დაიწყებს ფულის შემოტანასა, და ანგარიშში ჩაეთვლება ის ფულიცა, რაც წინად ჰქონდა შემოტანილი.

§ 2. შემოსატანის ფულის მიღებისათანავე შემომტანს ეძლევა სახელდებული კვიტანციები, ხელ-მოწერილი ამხანაგობის გამგეობისა, ერთ-ერთის ამხანაგისა დ ხაზინადარის მიერ. წილის ფული როცა შესრულდება, ცალკე კვიტანციები უნდა გაბათილებულ იქმნას და მათ მაგიერ უნდა მიეცეს ერთი საზოგადო კვიტანცია.

§ 3. საზოგადო კრების თანხმობითა და გარდაწყვეტილებით, რომელიც უნდა ჩაიწერებოდეს განსაკუთრებულს, სწორედ ამ საგნისათვის დაწესებულს დავთარში, ამ ამხანაგობაში შეუძლიანთ შემოვიდნენ სხვებიცა, რომელთათვისაც ეს ხელ-შეკრულობა სავალდებულოა ყოველის თავის კერძოობით.

§ 4. იმ წევრთ, ანუ ამხანაგთ, რომელთაც არ შეუვსიათ საწევრო წილის ფული, აქვთ ხმა საზოგადო კრების მიერ ყველა გადასაწყვეტს საგანში, ხოლო წილის-ყრაში, ამ ხელ-შეკრულობის მერვე მუხლის ძალით, მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

§ 5. თითოეულს წევრს ამხანაგობისას, რამდენი პაიც უნდა ჰქონდეს აღებული, კრებაზედ მხოლოდ ერთი ხმა აქვს, მაგრამ შეუძლიან, კანონიერად შესრულებულის რწმუნების ქაღალდის ძალით, შეიძინოს ამხანაგობის წევრისაგან ერთი სხვა ხმა კიდევ.

§ 6. თითოეული წევრი ამხანაგობისა პასუხს აგებს მხოლოდ თავის შემოტანილის ფულით.

§ 7. საქმეთა წარმოება ერთიანად და სავსებით მოვალეობაა ამხანაგობისა, რომელიც ამისათვის აარსებს კანტორას მით, რომ ირჩევს თავის საზოგადო კრებაზედ გამგებელს ორის ამხანაგითურთ, მდივანს, ხაზინადარს და სხვა მოხელეებს, რომელთაც საჭიროდ დასახავს; ხოლო საქმეთა-წარმოების წესი და აგრეთვე წესი მოხელეთა არჩევანებისა განისაზღვრება საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულის ინსტრუქციით.

§ 8. უძრავ მამულის შეძენისა და სახლის აშენების ნება ამხანაგობის ხარჯით აქვთ წევრთ რიგ-რიგით, რომელიც დაწესდება წილის ყრით; ხოლო წილის ყრის წესი დადგენილი იქმნება საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულის ინსტრუქციით.

§ 9. წევრი, რომლისათვისაც ამხანაგობამ შეიძინა თავის ხარჯით უძრავი მამული, ანუ ასესხა ფული მამულის განსაკარგებლად, წილის-ყრაში მონაწილეობას აღარ იღებს იმ დრომდე, ვიდრე იქნებიან სხვა ჯერ დაუკმაყოფილებელნი ამხანაგნი.

(შემდეგი იქნება)

## რუსეთი

დეპეშამ და გაზეთებმა ამბავი მოიტანეს პეტერბურგიდგან, გოფმეისტერ ნ. ა. აბაზას თავმჯდომარეობით კომისიამ თავად-აზნაურთა მიწადმფლობელობის დასამკვიდრებლად გადასწყვიტა დააწესოს შემოღება მამულის გაუნაწილებლობისა მემამულეთა სურვილისამებრო. თუ ეს ამბავი მართალია, მაშ კომისიას სრულიად უარ-უყვია თავად-აზნაურთა მამულების სავალდებულო გაუნაწილებლობის დაწესება. გარდაწყვეტილებისამებრ კომისიისა, ყველას შეუძლიან ნოტარიუსის წესით გაუნაწილებლობა დასდოს თავის მამულზედ.

ამ გზით შეიძლება ძლიერ გავრცელდეს რუსეთში გაუნაწილებლობა მამულისა და, მაშასადამე, მოჰყვეს ის მავნე შედეგიც, რომელიც აუცილებელია ამ გვარის მიწადმფლობელობის წესისა. ამის დასამტკიცებელი საბუთი ინგლისის მაგალითია. ამ ქვეყანაში მამულის გაუნაწილებლობა მხოლოდ ადათზეა აღორძინებული, სავალდებულო არავისათვის არ არის და თან კანონებით განსაზღვრულ-შეზღუდულია. მამულის გაუნაწილებლობის დაწესებას ერთს თაობას შემდეგ ძალა აღარა აქვს. ამასთანავე, როცა მემკვიდრე 21 წლისა შესრულდება, ნება აქვს მოსპოს მამულზედ დადებული გაუნაწილებლობა. ნ. ა. აბაზას კომისიასაც, როგორც ეტყობა, საჭიროდ უცვნია მამულის გაუნაწილებლობის ვადის განსაზღვრა-შემოკლება. მამულის გაუნაწილებლობის დაწესების დროს მემამულეს ნება აქვს, რომელსაც უნდა, იმ შვილს გადასცეს მამული, ხოლო შემდეგს თაობაში კანონის ძალით უფროსს შვილს ეძლევა, როგორც მაიორატი, მაგრამ მამულის მიმღებს მემკვიდრეს, როდესაც უნდა, მაშინ მოსპობს მამულის გაუნაწილებლობას და მისი მემკვიდრეები საზოგადო კანონის მიხედვით გაინაწილებენ სამკვიდროს.

მაგრამ ყოველივე ეს ვერ შეაფერხებს მავნებელს გავრცელებას მამულის გაუნაწილებლობისას რუსეთში, თუ რომ სხვა უფრო დიდი დაბრკოლება არა ჰქონდეს წინ გადაღობილი. ინგლისში მაიორატი ფეოდალურს წესწყობილებაზეა აღორძინებული და იმისი პირდაპირი შედეგია, ხოლო რუსეთის თავად-აზნაურობა ამ წესს თანაგრძნობით არასოდეს არ მოჰკიდებია, რადგანაც არა ჰსურდა ერთის მემკვიდრეს გულისათვის სხვათა ღვთის ანაბარად დატოვება. ასეთი აზრი ეხლაც მრავალჯერ გამოითქვა თავად-აზნაურთა სხვა-და-სხვა კრების დროს.

მამულის გაუნაწილებლობის წესის წინააღმდეგივეა აწინდელი საეკონომიო წეს-წყობილება. ეს გარემოება ისეთი თვალსაჩინო გარემოებაა, რომ ინგლისის მთავრობა იძულებული შეიქმნა სხვა-და-სხვა ისეთი კანონი შემოეღო, რომელმაც სრულიად ძირი გამოუთხარა ზემოხსენებულს წესს. 1882 და 1890 წელს შემოღებულმა კანონებმა თითქმის სრულიადა და საბოლოოდ გაათახსირა ეს წესი. მამულის გაუნაწილებლობას ყოველთვის თან სდევს შემდეგიც: მამულის მფლობელს არ შეუძლიან მამულის იჯარით გაცემა იმაზედ მეტის ხნით, რაც თითონ იცოცხლებს, ვერ შეუძლიან აგრეთვე მამულის დაგირავებაც, რადგან ამას შეიძლება გაყიდვაც მოჰყვეს და, მეორეც, მამულის ვალი სამძიმო იქნება შემდეგის თაობისათვის. ამას გარდა, მამულის პატრონს ნება არა აქვს არც მთელის მამულისა და არც იმის ნაწილის სხვაზედ გადაცემისა. ესაა დედა-აზრი მამულის გაუნაწილებლობისა, მაგრამ იგი ძლიერ აბრკოლებს და ხელს უშლის განკარგებულის წესით მამულის შემუშავებასა და გაკეთებას. ამის გამო ინგლისელებმა სხვა-და-სხვა დროს კანონების შემოღებით ფრთები შეაკვეცეს მამულის გაუნაწილებლობის წესს. ხან რა უფლება მიანიჭეს გაუნაწილებელ მამულის პატრონებს, ხან რა და ბოლოს იმას დაგირავებისა და გაყიდვის ნებაც-კი მისცეს. ამ შემთხვევაში საგულისხმიერო ის გარემოებაა, რომ ინგლისელები, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ასუსტებდნენ მამულის გაუნაწილებლობის დედა-აზრსა და მისს ძალას. მიზეზი ამისი ის არის, რომ იგი წესი წინააღმდეგი, შეუხამებელია აწინდელის საეკონომიო ცხოვრების ვითარებისა და წეს-წყობილებისა.

ამ მიზეზის ბრალიცაა ისიც, რომ პეტერბურგის კომისიამ შესაძლოდა და საჭიროდ სცნა დაგირავებულ მამულების გაუნაწილებლობის დაწესებაც. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება სრულიად ძირს გამოუთხრის და ფრთას შეაკვეცს დედა-აზრს მამულის გაუნაწილებლობისას და მისს გავრცელებას რუსეთში ძლიერ დაბრკოლებს და შეაფერხებს. რაკი შესაძლებელია დაგირავებულ მამულზედ გაუნაწილებლობის დადება, მაშ იმ მამულის გაყიდვაც შესაძლო ყოფილა, თუ დამგირავებელმა ხვედრი ფული არ შეიტანა ბანკში. ჯერ დარწმუნებით არავინ იცის, მართალია თუ არა ეს უკანასკნელი ამბავი, მაგრამ თუ მართალი გამოდგა, მამულის გაუნაწილებლობის შემოღება რუსეთში ფეხს ვერ მოიკიდებს.

ამასთანავე ყურადღების ღირსია შემდეგი გარემოება. ინგლისში მამულის გაყიდვა ძლიერ სადავიდარაბო საქმეა და ძნელად მოსახერხებელი, ხოლო რუსეთში ეს საქმე ძლიერ ადვილის წესით ხერხდება. ამის გამო, თუ რუსეთში გაუნაწილებელ მამულის გაყიდვა შესაძლებელი იქნება, მაშინ თვით გაუნაწილებლობას აღარაფერი ძალა არ შერჩება. თუ ინგლისში ძალა აქვს, ეს იმისი ბრალია, როგორც უკვე ვსთქვით, რომ მამული ძლიერ საძნელო და სადავიდარაბო წესით იყიდება.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ამ უკანასკნელს დროს პარიჟში დიდი მითქმა-მოთქმა იყო იმის თაობაზედ, თუ რა განზრახვით გაემგზავრა რომში პარიჟის არქიეპისკოპოსი რიშარი. რიშარი უკვე დაბრუნდა რომიდგან და იმ წამსვე გამოაშკარავდა კიდეც, თუ რის გამოც წასულიყო რომში. არქიეპისკოპოსმა რიშარმა თან მოიტანა პაპის წერილი საფრანგეთის კარდინალთა მიმართ. ეს წერილი მეორე დღესვე პარიჟის კლერიკალთა გაზეთებში დაიბეჭდა და ბევრი სჯა და ბაასი ასტეხა. პაპი ლეო XIII სწერს: „მე ვთხოვ ყველა კეთილ-მორწმუნეთ, რომ საფრანგეთის რესპუბლიკას მოურიგდეს, პატივი სცეს და კიდეც დაემორჩილოსო“, მაგრამ შემდეგ-კი განაგრძობს, რომ რესპუბლიკის დამორჩილება კიდევ იმას არ ჰნიშნავს, რომ იმის ისეთს კანონებს დავემორჩილოთ, რომელნიც წინააღმდეგნი არიან ჩვენის სარწმუნოებისაო. „ჩვენ მოვალენი ვართო, სწერს პაპი სამღვდელოებას, რომ ერთად შევიკრიბნეთ და რაც კი საშუალება და ძალ-ღონე გვაქვს, ვებრძოლოთ რესპუბლიკას, რათა მან შესცვალოს ის კანონ-მდებლობა, რომელიც ჩვენ, სამღვდელოებას, უვარგისად, ან მავნებელად მიგვაჩნიაო. ამითი ჩვენ მტრობას კი არ გავუწევთ რესპუბლიკას, არამედ ვამტკიცებთ ჩვენს მისდამი სიყვარულს და მამულიშვილობასაო“.

---

მაინც არავის უსაყვედურნია მისთვის, რომ რაკი ყოველ იმ ნაწერებში სულ რუგონებზედ ლაპარაკობ, ამიტომ შენი ერთი მოთხრობა გამეორებაა მეორესიო,—და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ჩვენის მწერლის სიყვარული, თანაგრძნობა და ფხიზელი ყურადღება მიზიდულია მოხევეთა თემობისაკენ, რომელიც ერთს დროს შეადგენდა დიდებულს ძალას ხალხის საზოგადოებურ ცხოვრებისას, ადამიანურ ყოფისას, და რომელიც ასე უწყალოდ სუსტდება ავტორის დაღონებულ თვალის წინ, ირყვნება, ირღვევა, უდიერად იშლება, ჰკარგავს თავისს მაღალ და კეთილშობილ რაინდულ ხასიათს და თან მიაქვს უფსკრულში ჩვენი ეროვნული თავისნიერობა, ჩვენი სიამაყე, მთელი ჩვენი სიკეთე, შეძენილი ათასის წლის თავ-გამოდებულ ბრძოლის ჭექა-ქუხილითა და ქარ-ცეცხლით! იქნება ყაზბეგი იმიტომ არ გვეპრიანება, რომ საზოგადოდ შინაურს მღვდელს შენდობა არა აქვს! იქნება იმიტომ, რომ ჩვენი ავტორი ჩვენია და არა სხვისა! ეგ ხომ ვერაფერი საბუთია, თქვენმა მზემ. აბა გადუთარგმნეთ ეს წყნარი მწერალი უცხოელებს, როგორ დაეწაფნენ ყოველს ქნარს მის კალმისას და როგორი მადლი გადგიხადონ, რომ ასეთს ჩინებულს პოეტურს მასალას მისცემთ ხელში. ნუ თუ ვიდრე სხვები არ მოიწონებენ ჩვენს კაცს, ჩვენ არ უნდა ვეცადოთ, რომ შევიგნოთ მისი ყადრი!..

**

განა ნაკლულევანება-კი არა აქვსრა ყაზბეგის ნაწერებს, რომ მთელი სამი ვეება წიგნი გაიარე და წუნი ვერა უპოვნე-რაო? მკითხავს ყველა, ვისაც მოთმინება ჰქონდა, რომ ჩემის წერილებისათვის ყურადღება ეთხოვებინა. უნაკლულო ქვეყანაზედ არა არის-რა. მაგრამ ნაკლიც არის და ნაკლიც. მწერალს შეჰხვდებით, მეტადრე ჩვენში, რომ მოახერხებს და ათს სტრიქონში ორმოც-და-ათს უხამსო, უგემურ, გაცვეთილ მოძღვრებას მოგაყრის ცხვირ-პირში, რაღაც სიფრიფანა წიგნს შეგითხუზავს და იმდენს აბდა-უბდა-გადასკუპდას მოგახლის, ისეთს სილატაკეს გონებისას და გულისას გამოიჩენს თავ-მოწონებული, რომ აღარ იცი, როგორ მოინელო ამისთანა „თხზულება“. შესაძლოა, თითო-ოროლა სიტყვა კიდეც წამოსცდეს რიგიანი, თითქო აზრიანიც, თითო-ოროლა სურათიც დაგიხატოს, მაგრამ ამისთანა ნაწერში ბევრითა სჭარბობს ნაკლულევანება და, რა თქმა უნდა, იმის მქებელს დიდი გულადობა და უფრო მომეტებული უვიცობა დასჭირდება. შეგხვდებათ ისეთი ნაწერებიც, სადაც ნაკლი ცოტათი აღემატება ღირსებას; ისეთიც, რომ ღირსება და ნაკლულევანება ერთმანეთს სასწორივით უდრიდნენ. მაგრამ როდესაც ნაწერში ღირსება ბევრად აღემატება ნაკლულევანებას, ისე ბევრად, რომ ნაკლი არც-კი ჩანს, მაშინ წუნის მიტანა სწორედ უადგილოდ მიმაჩნია.

ყაზბეგის ნაწერებში, მაგალითად, ქართული ენა ძლიერ ჰკოჭლობს. მაგრამ განა შეიძლება ამ კოჭლობას მიაქციოთ ყურადღება, როდესაც ყოველი მისი მოთხრობა გაგიტაცებთ ისე, რომ ვერც-კი გაიგებთ—ბოლომდის როგორ ჩავედით.

სიკოჭლეით რაზედ მწუნობ,
განა კურდღელს მადევნებო!

ერთი დიდი ნაკლულევანება-კი უსიამოვნოდ უნდა ჰმოქმედობდეს მკითხველზედ. ეს გახლავთ შემდეგი: ისე არ შეჰხებია ავტორი ოსსა, რომ ფლიდი, მოღალატე და ლაჩარი არ გამოეყვანა. გული გვტკივა, როდესაც ამ ნაკლს გავიხსენებთ. აქ ყაზბეგი ვერ ასცილდა მთის ხალხის სიძულილს ოსთა მიმართ, და ეს არ ეპატიება არავის, მეტადრე ამისთანა შესანიშნავს მწერალს, როგორიც ყაზბეგია.

დანარჩენ ნაკლულევანებათა შორის ასახელებენ იმ ზიზღს, რომლითაც აგვიწერს ჩვენი ბელეტრისტი მთის მოხელეებს. აქ გადაჭარბებასა ჰხედავენ ბევრნი. სხვისა რა მოგახსენოთ და მე-კი ასე მგონია, რომ რაც ნაკლებ დაჰზოგავს მწერალი თავის ნიჭს ურიგო, წამხდარ და უგუნურ მოხელეთა გამოხატვაში, იმდენად ასეთი მწერალი უფრო სასურველი, საყვარელი და სასარგებლოა ქვეყნისათვისა და მთელის კაცობრიობისათვისაც. ამ შემთხვევაში ყაზბეგმა თავის გაბედულობით, თავისუფლების სიყვარულით სულ დააბნელა ყველა სხვა ქართველი მწერლები და იმისთანად არავის ამოუყრია ჯავრი იმ მოხელეებისა,—ჩვენები იყვნენ, თუ უცხონი—რომელთაც დაამახინჯეს და დაასახიჩრეს ჩვენი ცხოვრება. აქ არ შეგვიძლიან აფერუმი არ ვუთხრათ ყაზბეგის ძლიერს და სუსხიან კალამს! რუსეთის მწერლობაში ასეთი მოხელენი ყველაზედ უფრო შესამჩნევად ჯავრს აცვეს დიდებულმა გოგოლმა დ სახელოვანმა შჩედრინმა, რომელთაც სწორედ სამარცხვინო ბოძზედ მიაკრეს იგინი და პირში აფურთხეს თავიანთის საშინელის დაცინვით და მასხარად აგდებით. ჩვენში ასეთი საქმე შეასრულა ალექსანდრე ყაზბეგმა და სიკეთე მოუტანა არა მარტო ქართველობას, არამედ მთელს კავკასიელს ხალხს, თუმცა დაცინვის ნიჭი-კი ხსენებულ მწერლებისა ვერ გამოიჩინა. მისი ზიზღი უგუნურთა და უპატიოსნოთა მიმართ დარჩება ჩვენში საშვილიშვილოდ და მასთან ერთად ყაზბეგის სახელიც...

სტ. ჭრელაშვილი

· ამ წერილიდგან აშკარადა სჩანს პაპის განზრახვა. იმას უნდა, რომ სამღვდელოებამ საფრანგეთშიაც ისეთი მნიშვნელობა მოიპოვოს რესპუბლიკის პოლიტიკურს ცხოვრებაში, როგორიც მაგალითად ბელგიაში აქვს მოპოვებული. ცხადია, რომ პაპი ოცნებობს, იქნება საფრანგეთშიაც სამღვდელოებამ მძლავრი საპოლიტიკო დასი შეადგინოს, რომელიც რესპუბლიკას მიემხრობა, და რესპუბლიკისავე შემწეობით სასურველი მიმართულება და ელ-ფერი მისცეს მთელის საფრანგეთის საზოგადო და საპოლიტიკო ცხოვრებასა. კიდეც ამიტომ ითხოვს პაპი სამღვდელოებისაგან, რესპუბლიკას დაემორჩილეთო, მაგრამ იმავე დროს თქვენსას ნუ დაიშლით და ეცადეთ, მძლავრი საპოლიტიკო დასი შეადგინოთო, რომლის შემწეობითაც შევიძლოთ ჩვენი სურვილი და განზრახვა ავისრულოთ და, რაც შეიძლება, მეტი გავლენა მოვიპოვოთ მთელს საფრანგეთშიო.

ამ წერილის შესახებ ფერრის გაზეთი „Estafette“ სწერს, რომ პაპი ძლიერა სცდება, როცა ამბობს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა სხვაა და იმის კანონ-მდებლობა-კი სხვააო. ჩვენთვისაო, სწერს ეს გაზეთი, რესპუბლიკის კანონ-მდებლობა თვით რესპუბლიკის საფუძველს შეადგენს. თუ სარწმუნოების თავისუფლებისა, საერო განათლებისა, საყოველთაოდ სავალდებულო სამხედრო ბეგარისა, ცოლ-ქმრობის გაყრისა და ასსოციაციების შესახებ კანონ-მდებლობას დავარღვევთ, მაშინ თვით რესპუბლიკის წეს-წყობილებაც დაირღვევაო. თუ სამღვდელოება რესპუბლიკას ემორჩილება, მაშასადამე იმის კანონმდებლობასაც უნდა დაემორჩილოს. ეს კიდევ ცოტააო, ამბობს დასასრულ გაზეთი „Estafette“, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ვიდრე კონკორდატი არსებობს, რესპუბლიკა სამღვდელოებას საპოლიტიკო ცხოვრებაში გარევის ნებას არ მისცემს და მუდამ მოსთხოვს, რომ სამღვდელოებამ პოლიტიკას თავი დაანებოს და მხოლოდ თავისი მოვალეობა აასრულოს.

---

**პეტერბურგი:** სახელმწიფო სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მომგებ გირავნობის ფურცელთა ხუთას-მანეთიანი მოგებანი ხვდა შემდეგ ბილეთებს:

| №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. | №№ სერ. | №№ ბილეთ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1246 | 13 | 10162 | 26 | 2039 |
| 1 | 4067 | 13 | 10409 | 26 | 6037 |
| 1 | 4118 | 14 | 3597 | 27 | 558 |
| 1 | 6822 | 14 | 4215 | 27 | 611 |
| 1 | 7513 | 14 | 4387 | 27 | 5251 |
| 1 | 8930 | 14 | 6027 | 27 | 6004 |
| 1 | 11520 | 14 | 7689 | 27 | 6753 |
| 1 | 12469 | 14 | 12076 | 27 | 10721 |
| 2 | 1392 | 14 | 12583 | 27 | 11129 |
| 2 | 8387 | 14 | 12873 | 27 | 11483 |
| 2 | 10146 | 14 | 14595 | 27 | 14244 |
| 3 | 995 | 14 | 15393 | 28 | 5292 |
| 3 | 5810 | 15 | 4798 | 28 | 12009 |
| 3 | 6272 | 15 | 6642 | 29 | 10575 |
| 3 | 12257 | 15 | 14871 | 29 | 14769 |
| 4 | 3949 | 16 | 5536 | 29 | 15102 |
| 4 | 13045 | 17 | 1436 | 30 | 1853 |
| 5 | 280 | 17 | 2778 | 30 | 3778 |
| 5 | 715 | 17 | 5563 | 30 | 6407 |
| 5 | 9619 | 17 | 11127 | 30 | 8086 |
| 5 | 10359 | 18 | 343 | 30 | 9203 |
| 5 | 14413 | 18 | 3974 | 30 | 12661 |
| 6 | 5404 | 18 | 6267 | 31 | 1169 |
| 6 | 10173 | 18 | 6295 | 31 | 1435 |
| 6 | 14650 | 18 | 6487 | 31 | 3599 |
| 6 | 14706 | 18 | 13499 | 31 | 3623 |
| 7 | 2192 | 18 | 15238 | 31 | 3700 |
| 7 | 2220 | 19 | 1227 | 31 | 5597 |
| 7 | 2536 | 19 | 3094 | 31 | 8401 |
| 7 | 6427 | 19 | 4185 | 31 | 8846 |
| 7 | 6641 | 19 | 7176 | 32 | 399 |
| 7 | 7677 | 19 | 7722 | 32 | 2371 |
| 7 | 7819 | 19 | 7728 | 32 | 4454 |
| 7 | 15962 | 20 | 556 | 32 | 6597 |
| 8 | 2860 | 20 | 1379 | 32 | 6665 |
| 8 | 5745 | 20 | 2078 | 32 | 9934 |
| 8 | 13556 | 20 | 2666 | 32 | 12536 |
| 8 | 13859 | 20 | 2762 | 33 | 1266 |
| 9 | 8646 | 20 | 2778 | 33 | 1974 |
| 9 | 10233 | 20 | 7596 | 33 | 2756 |
| 10 | 1898 | 20 | 7831 | 33 | 5485 |
| 10 | 3405 | 20 | 9958 | 33 | 11699 |
| 10 | 4024 | 20 | 10953 | 34 | 3563 |
| 10 | 12266 | 20 | 11848 | 34 | 9016 |
| 10 | 14576 | 21 | 5166 | 34 | 12135 |
| 11 | 1120 | 21 | 6365 | 35 | 3799 |
| 11 | 1429 | 21 | 11217 | 35 | 6437 |
| 11 | 3463 | 21 | 13335 | 36 | 3309 |
| 11 | 3598 | 21 | 13461 | 36 | 4172 |
| 11 | 4155 | 21 | 14492 | 36 | 4262 |
| 11 | 6813 | 22 | 7690 | 36 | 6207 |
| 11 | 10215 | 22 | 12271 | 36 | 13068 |
| 11 | 11128 | 22 | 14682 | 36 | 13758 |
| 11 | 12416 | 23 | 6839 | 36 | 14653 |
| 11 | 14403 | 23 | 8146 | 36 | 15736 |
| 11 | 14923 | 13 | 12892 | 37 | 1230 |
| 12 | 440 | 23 | 13224 | 37 | 13727 |
| 12 | 1955 | 23 | 13522 | 38 | 1404 |
| 22 | 2133 | 24 | 6962 | 38 | 2478 |
| 12 | 3053 | 24 | 11420 | 38 | 2758 |
| 12 | 8289 | 25 | 2964 | 38 | 5700 |
| 12 | 8895 | 25 | 7669 | 38 | 6286 |
| 12 | 9093 | 25 | 8650 | 38 | 7294 |
| 12 | 9201 | 25 | 9894 | 38 | 7496 |
| 12 | 11926 | 25 | 10028 | 38 | 8099 |
| 13 | 55 | 25 | 11308 | 38 | 11000 |
| 13 | 4234 | 25 | 13213 | 38 | 15235 |
| 13 | 5479 | 26 | 1469 | 38 | 15406 |
| 13 | 5525 | 26 | 1520 | 38 | 15534 |
| 39 | 9708 | 43 | 13849 | 48 | 5069 |
| 39 | 10968 | 44 | 4893 | 48 | 8491 |
| 39 | 12803 | 44 | 9335 | 48 | 10051 |
| 39 | 13555 | 44 | 14596 | 48 | 12920 |
| 40 | 2652 | 45 | 1706 | 48 | 13651 |
| 40 | 8792 | 45 | 3113 | 48 | 14389 |
| 40 | 9768 | 45 | 6139 | 49 | 12804 |
| 40 | 10584 | 45 | 7037 | 49 | 13107 |
| 41 | 2208 | 46 | 1405 | 50 | 170 |
| 41 | 2938 | 46 | 12506 | 50 | 249 |
| 41 | 4173 | 47 | 1038 | 50 | 4041 |
| 42 | 2645 | 47 | 4623 | 50 | 5292 |
| 42 | 3747 | 47 | 13503 | 50 | 7418 |
| 42 | 7796 | 47 | 14048 | 50 | 8082 |
| 42 | 10594 | 47 | 15473 | 50 | 9041 |
| 43 | 1816 | 47 | 15689 | 50 | 12125 |
| 43 | 4354 | 48 | 287 | 50 | 12977 |
| 43 | 11847 | 48 | 2090 | | |

---

პეტერბურგის ბირჟა, 1 მაისი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,56 | 7,58 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151 | 152 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — ,, | 1,10 | — ,, |
| 5°/o პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 238¹/₄ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 219 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | 195 | 195 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/o. . . . . . | 101 | 101¹/₂ | — ,, |
| 5°/o. . . . . . | — ,, | 99¹/₄ | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/o. | 101 | 101¹/₂ | — ,, |
| 5°/o. . . . . . | — ,, | 99¹/₂ | 100 |
| 5°/o ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

**გამოსადეგი ცნობანი**

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუაღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუაღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

# განცხადებანი


გასაფრთხილებლად.

ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი

ოლეო-ვაზელინის

**როიალ-კონგო**

მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი გ. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.

საპარფიუმერო ფაბრიკა

,,ვიქტორია რეგინა''

**ე. ბოდლოსი და ამხ.**

მოსკოვს.

ისყიდება ყველგან! (10—4)


ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის 1881 წლის 17 თებერვლის წესდების მე-15 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ 12 და 13 ივნისს ამა 1892 წლისას, დღის 12 საათზედ, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება, ვაჭრობის განუმეორებლად, უძრავნი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გადასახდელების შემოუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§-მებრ.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-18 §-ის თანახმად, ზემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება საეროზო და სხვა გარდასახდელი ხარჯი. თავნი ვალი ბანკის გრძელ-ვადიანთა სესხთამებრ შეიძლება შემოიტანონ ამა ბანკის გირავნობის ფურცლებით, რომელიც მიღებულ იქნება თავისს დარქმეულ ფასისამებრ მანეთზედ მანათად და აგრეთვე, ბანკის თანხმობით, ვალი მყიდველზედ იქმნას გადატანილი. სავადო შემოსატანისა და სხვა გარდასახადისათვის-კი ნაღდი ფული უნდა იქმნეს შემოტანილი.

ვინიცობაა ამა წლის 12—13 ივნისს დანიშნული ვაჭრობა არ შესდგა, ბანკის წესდების მე-21 §-ის საფუძვლისამებრ, მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა იქნება 27 ივნისს ამავე წლისას. ბანკის წესდების მე-16 §-ის თანახმად, მსესხებელს ნება ეძლევა სავადო შემოსატანი, სარგებლით ვადაზედ შემოუტანლობისათვის და აგრეთვე მამულის სავაჭროდ დანიშვნის ყოველ სხვა ხარჯითურთ ვაჭრობის დღემდე შემოიტანოს.

ქალაქის მამულების ვაჭრობა იქნება 12 ივნისს, სოფლის მამულებისა 13 ინვისს. *)

**ძველის კატეგორიისა: ა) ქალაქის მამულები.**

ხერხეულიძე, ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე. ერთი-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფით, ფლიგელით და სამოსამსახუროთი, მიწისა და ეზოს ზომა 324¹/₂ ოთხ-კუთხი საჟ., მე-11 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ქ. ტფ. ელისაბედის ქუჩაზედ და უსახელოზედ. თავნი ვალი 3,743 მ. 43 კ., შემ. გარ. 176 მ. 11 კ., სულ 3,919 მ. 54 კ.

ოქუაშვილი, გრიგოლ იაგორის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფიანის სართულით, ეზოთი და მიწით, ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟ., ქ. ტფ. მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ოქრომჭედლების ქუჩაზედ. თავნი ვალი 3,402 მ. 15 კ., შემ. გარ. 364 მ. 63 კ., სულ 3,766 მ. 78 კ.

დავიდოვი, ლაზარე ლაზარეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორ-სართულიანი ფლიგელი, სხვა შენობით, ეზოთი და მიწით, ზომით 166 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფ. მე-2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ხევის ქუჩაზე. თავნი ვალი 3402 მ. 12 კ., შემ. გარ. 305 მ. 18 კ., სულ 3,707 მ. 30 კ.

მებურნუთოვი, დავით პავლეს ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით 518 ოთხ-კუთხი საჟ. მე-10 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფ. ბაგრატიონის ქუჩაზედ. თავნი ვალი 3,169 მ. 36 კ., შემ. გარ. 278 მ. 68 კ., სულ 3448 მ. 4 კ.

ბეთანოვი, სტეფანე ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველ გვარის მოწყობილებით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 საჟ. და სიგანით 13 საჟ. ქ. ახალციხეში. თავნი ვალი 2,465 მ. 8 კ., შემ. გარ. 195 მ. 33 კ., სულ 2,660 მ. 41 კ.

თამამშოვი, ალექსანდრე სოლომონის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამის წყაროთი, ყოვლის კუთვნილებით, ბაღით და რიგის წყლით, მიწა ზომით 3 დეს. და 350 ოთხ-კუთხი საჟ. მე-9 ნაწილში, 2 გან. ყოფილებაში. კრწანისში თავნი ვალი 1,874 მ. 84 კ., შემ. გარ. 153 მ. 73 კ., სულ 2,028 მ. 57 კ.

ტერ-შმოვანოვი ნიკოლოოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყველა მოწყობილობით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხი საჟ. ან რამდენიც აღმოჩნდება. მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფ. მოლნინისა და ბებუთოვის ქუჩაზე № 21. თავნი ვალი 6102 მ. 16 კ., შემ. გარ. 412 მ. 48 კ., სულ 6514 მ. 64 კ.

რუსიევ-ყორჩიბაშევი, გიორგი გიორგის ძე: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი, მიწა ზომით სიგრძით 50 საჟ. და სიგანით 25 საჟ. ქ. თელავში. თავნი ვალი 508 მ. 56 კ., შემ. გარ. 73 მ. 56 კ., სულ 582 მ. 12 კ.

ჩოლოყაევი, ნიკოლოოზ ზაალის ძე და ჯანდიერი, ლევან გიორგის ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და მიწით, ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. თელავში. თავნი ვალი 871 მ. 89 კ., შემოს. გარდ. 95 მ. 26 კ., სულ 967 მ. 15 კაპ.

**ბ) სოფლის მამულები**

ხიმშიევები: ნინო, მარიამ გიორგის ძე და ასული და ეკატერინე ბეჟანის ასული: სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 653 დეს. და 1820 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფ. ანთნის-ხევში. თავნი ვალი 3,965 მ. 14 კ., შემ. გარ. 185 მ. 89 კ., სულ 4,151 მ. 3 კ.

ბარათოვი, გიორგი ვახტანგის ძე: სახნავი და საპოსტნე ადგილები, ზომით 177 დეს. და 1560 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ზემო-ოძისში. თავნი ვალი 3,964 მ. 59 კ., შემ. გარ. 209 მ. 84 კ., სულ 4174 მ. 43 კ.

ერისთავი, გიორგი გიორგის ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები, ტყე და შენობები, მიწა ზომით 284 დეს. 1263 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, თელავის მაზრაში, აგარაკ ქისტაურში. თავნი ვალი 8,984 მ. 10 კ., შემ. გარ. 364 მ. 78 კ., სულ. 9,348 მ. 88 კ.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე: სახნავი და სამოსახლო ადგილები, შენობებით და ვენახით, მიწა ზომით 151 დეს. და 300 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფელ ბრეთში. თავნი ვალი 7982 მ. 57 კ., შემ. გარ. 364 მ. 78 კ., სულ 8347 მ. 35 კ.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დეს. და 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში. თავნი ვალი 2,677 მ. 98 კ., შემ. გარ. 159 მ. 71 კ., სულ 2837 მ. 69 კ.

ამილახვრები, ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თაზიევისა, მარიამ ალექსანდრეს ასული: სახნავი და სასახლკარო მიწები, ზომით 33 დეს. და 320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. გრაკალში. თავნი ვალი 1,347 მ. 33 კ., შემ. გარ. 129 მ. 58 კ., სულ 1,476 მ. 91 კ.

ქობულოვები: იოსებ, სოლომონ და ზაქარია ადამის ძენი: სახნავი, საძოვარი მიწები და ტყე, ზომით 823 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფელ კონდოლში. თავნი ვალი 8,982 მ. 27 კ., შემ. გარ. 370 მ. 27 კ., სულ 9352 მ. 54 კ.

თარხან-მოურავი, დავით იორამის ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 525 დეს. და 876 ოთხ-კუთხი საჟ. ტფ. გუბერნიაში, ტფ. და გორისმაზრაში, სოფ. ახალქალაქს, მუხაურს და სათარხნოში. თავნი ვალი 6,286 მ. 96 კ., შემ. გარ. 274 მ. 75 კ., სულ 6561 მ. 71 კ.

*) ამ ნომრის მე-9 გვერდზედ, სათავად-აზნაურო ბანკის განცხადებათა მე-3 სვეტზედ, ზემოდგან მესამე გვარში (მამულია მარ. მაღალაშვილისა) შეცდომით საერთო ვალის რიცხვად აღნიშნულაა 1289 მან. 15 კაპ., უნდა იყოს 12089 მ. 15 კაპ.